<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

1:600
X=481871 Y=4620912
X=481882 Y=4620907
X=481894 Y=4620887
X=481802 Y=4620868
X=481821 Y=4620855
გიზო ჟორდანიას
სახელობის სკვერი

შემოქმედებითი კავშირი
საქართველოს
თეატრალური საზოგადოება
0105 თბილისი, ლეონიძის 11ª, ტელ.: +995 599 07 27 21
ელ-ფოსტა: steatraluri@gmail.com

N 10 "22" მაისი 2023 წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გიორგი,
საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის დიდ ქართველ რეჟისორს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გაიოზ (გიზო) ჟორდანიას ქართული თეატრისა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. 2023 წელს ბატონი გიზოს გარდაცვალებიდან უკვე 7 წელი შესრულდება, მისი სახელის უკვდავსაყოფად კი, დღემდე, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი გაკეთებულა.
მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისის ცენრტალურ უბანში რომელიმე ბაღს ან სკვერს, სადაც ბატონი გიზოს მოწაფეები და კოლეგები თითო ხეს დარგავენ, მისი სახელი ეწოდოს.
ვფიქრობთ ამგვარი ინიციატივა აუცილებელია და იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ, ბატონო გიორგი, ამ საქმეში აუცილებლად დაგვიჭერთ მხარს.

პატივისცემით,

საქართველოს თეატრალური
საზოგადოების თავმჯდომარე

გიორგი გეგეჭკორი

წერილის ნომერი: **03-0323045124**
თარიღი: **14/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას 2022 წლის 17 თებერვლის საქმე #15-032204830-03 დაკავშირებით, რომელიც თბილისში ერთ-ერთი სკვერისთვის საქართველოს სახალხო არტისტის გიზო ჟორდანიას სახელის მინიჭებას ეხება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ წერეთლის გამზირთან არსებული სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) ფურცელი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230463200**
თარიღი: **15/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 14.02.2023 წლის #03-0323045124 (14.02.2023წ. #14-01230453362-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიზო ჟორდანია

(1934-2016)

ქართველი რეჟისორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1957–1958 წლებში იყო თეატრალური ინსტიტუტის პრეპარატორი; 1958–1961 წლებში მასწავლებელი; 1961 წლიდან უფროსი მასწავლებელი; 1961–1965 წლებში ბათუმის, 1965–1970 და 1979–1986 რუსთაველის თეატრების დამდგმელი რეჟისორი; 1970–1979 თბილისის ოპერისა და ბალეტის, 1979–1986 გრიბოედოვის თეატრების მთავარი რეჟისორი; 1991–1999 თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორი; 1993 წლიდან ბათუმის ოპერის მთავარი რეჟისორი; 1995 წლიდან მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგე; 1998 წლიდან რეჟისურის კათედრის გამგე, პროფესორი. დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი საქართველოში და საზღვარგარეთ; ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა დრამატული თეატრის, ოპერისა და სათეატრო პედაგოგიკის პრობლემებზე.

მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და პრემია: 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია; 1983 წელს ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედალი; 1988 წელს ო. პოპოვის სახელობის მედალი; 1989 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია; 1992 წელს სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია; 1995 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია;

1999 წელს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.